JEL Classification: O20, Q10, Q18 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.004

ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრები და ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა

ეთერი ხარაიშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, საქართველო
eter.kharaishvili@tsu.ge

ია ნაცვლიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ia.natsvlishvili@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: სასურსათო ბაზარი, აგროსასურსათო პროდუქტი, აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტი, ექსპორტის მასტიმულირებელი პოლიტიკა.

ციტირებისთვის: ხარაიშვილი, ე., ნაცვლიშვილი, ი. (2019). ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრები და ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა, *გლობალიზაცია და ბიზნესი, №8,* გვ. 44-53.
https://doi.org/10.35945/gb.2019.08.004

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრის წინაშე დღეს მრავალი ქვეყანა დგას. ამ პრობლემის მოგვარებასა და ზოგადად ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სასურსათო ბაზრებს. განვითარებული სასურსათო ბაზრების პირობებში იზრდება მოსახლეობის შემოსავლები, ასევე, მაღალია მოსახლეობის დასაქმებისა და კეთილდღეობის მაჩვენებლები (Ekanem, Mafuyi, Clardy, 2016:61). მსოფლიო მასშტაბით საუკეთესო ბაზრების ათეულში განიხილება ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ის, სინგაპურის, კანადის, ესპანეთის, იაპონიის, ბრაზილიის, გერმანიის, სამხრეთ აფრიკის ქვეყნების სასურსათო ბაზრები. ევროპაში გამორჩეულია როტერდამის, ლონდონის, ჰელსინკის, ბერლინის, ბრისტონის, ვენის, ბუდაპეშტის, პარიზის, სტოკჰოლმის, კოპენჰაგენის სასურსათო ბაზრები.

კვლევებით დადასტურებულია, რომ სურსათზე მოთხოვნა ზრდადი ტენდენციისაა და თანამედროვეობის მნიშვნელოვან გამოწვევად ადგილობრივი სასურსათო ბაზრების განვითარება განიხილება (Ekanem, Mafuya, Clardy, 2016:58). ასეთი ბაზრები საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფასა და სასოფლო დასახლებათა განვითარებაში (Daniel, Nestico, 2015:5). ამასთან, ამ ბაზრებზე მნიშვნელოვნად იზრდება სასურსათო პროდუქტების პირდაპირი გაყიდვების მოცულობა და სრულყოფილი ხდება მიწოდების ჯაჭვი (Ahearn, Sterns. 2013: 497). მე -20 საუკუნის მეორე ნახევრამდე ადგილობრივი სასურსათო ბაზრები მოსახლეობის უმრავლესობისათვის სურსათზე ხელმისაწვდომობის მთავარი წყარო იყო. თუმცა, დღეს მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ლოკალური ბაზრები ნაკლებად ახდენენ მწარმოებლებისა და მომხმარებლების მოტიცაციას და აუცილებელია საერთაშორისო სასურსათო ბაზრების განვითარებისათვის შესაბამისი პროგრამებისა და პოლიტიკის შემუშავება (Martinez et al. 2010:35). აღსანიშნავია ისიც, რომ განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის კვების სტრუქტურა ტრანსფორმაციას განიცდის – მიმდინარეობს ტრადიციული კვების სტრუქტურის ცვლილება კალორიული და მაღალი დონის ტექნოლოგიებით გადამუშავებული სურსათით. განვითარებულ ქვეყნებში კი შეინიშნება ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია – იზრდება მოთხოვნა ჯანსაღ დიეტურ პროდუქტებზე, მათ შორის ახალ

ხილსა და ბოსტნეულზე. ასეთ პირობებში სასურსათო ბაზრის მთავარ გამოწვევად პროდუქტებზე ფასების მიხედვით ხელ–მისაწვდომობა განიხილება.

ბოლო პერიოდში სასურსათო ბაზრების განვითარებაზე გავლენა მოახდინა ურბანულმა ტენდენციამაც. დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებშიც ადგილობრივი აგრარული ბაზრები თანამედროვე სუპერმარკეტებით შე–იცვალა. თუმცა, ეს პროცესი ჯანმრთელობაზე ზემოქმედე–ბის თვალსაზრისით მეცნიერთა მიერ უარყოფითად არის შეფასებული – სუპერმარკეტები დანამატებით გაჯერებული კვებითი ღირებულების მქონე გადამუშავებულ პროდუქტებს აწვდიან მომხმარებელს (Mendez & Popkin, 2004:220).

სურსათის მსოფლიო ორგანიზაციის (FAO) მონაცემე–ბითაც დადასტურებულია პერსპექტივაში სურსათზე მოთხოვ–ნის ზრდადი ტენდენია. მაშასადამე, სასურსათო ბაზრების განვითარების საკითხები აქტუალურობას არ კარგავს, პირი–ქით, უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია ქართული აგროსა–სურსათო პროდუქტების ბაზრებზე არსებული თანამედროვე გამოწვევების გამოვლენა და ექსპორტის მასტიმულირებელი პოლიტიკის პრიორიტეტებზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდები. კვლევის მეთოდები შეირჩა დას–მული საკითხების შესაბამისად, კერძოდ, გამოყენებულია ზოგადი და კონკრეტული მეთოდები:

- სტატისტიკური მეთოდებით გაანგარიშებულია აგრო–სასურსათო პროდუქტების საშუალო საექსპორტო მაჩვენებლები;
- „ზეგავლენა–გადაუდებლობის“ მატრიცით გამოვლე–ნილია ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორები;
- რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების დასადგენად ჩატარებულია ჩაღრმავებული ინტერვიუები ექსპერტებთან;
- „პრიორიტეტების სქემით“ დადგენილია აგროსა–სურსათო პროდუქტების ექსპორტის მასტიმულირებელი პო–ლიტიკის პრიორიტეტები;
- ანალიტიკურ და სტატისტიკურ შეფასებებს შორის კანონზომოერებათა დასადგენად გამოყენებულია შინამეურ–ნეობების გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაციები და სტა–ტისტიკური მონაცემები. და სხვ.

სურსათზე გაზრდილი მოთხოვნის პირობებში მნიშვ–ნელოვანია წარმოების განვითარების ტენდენციების შეფა–სება, დარგში მწარმოებლურობის გაზრდა (FAO, 2017:46). თანამედროვე კვლევების მიხედვით დადასტურებულია, რომ სურსათით უზრუნველყოფა უშუალოდ არის დაკავშირებუ–ლი მწარმოებლურობასთან, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში (Nsiah, Wallace, 2017).

დღეს გლობალური სასურსათო ბაზარი ინკლუზიური ზრდის ახალ ფაქტორად განიხილება. ამასთან, ამ ბაზრებზე განვითარებადი ქვეყნები აგროსასურსათო პროდუქტების მიწოდების თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულე–ბენ (Dybowski, Bugala, 2016).

ადგილობრივი სასურსათო ბაზრების განვითარებას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია მოსახლეობის შემოსავლების გაზრდაში, ასევე, დასაქმებასა და კეთილ–დღეობის ამაღლებაში, სოფლის ურბანული პრობლემების მოგვარებაში (Ekanem et al., 2016).

სასურსათო ბაზრების განვითარების პერსპექტივად სურსათის წარმოებისა და მათზე ფასების ფორმირების პოლიტიკის ასპექტები განიხილება. სურსათზე ფასების ზრდა ხშირად აღემატება საარსებო მინიმუმის ზრდას, მაღალია ინფლაციის დონე. საჭიროა საარსებო მინიმუმს, ინფლაციასა და სურსათის ფასებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა (Kharaishvili, 2017). საერთაშორისო სასურსათო ბაზარზე სწორედ ფასების ცვლილებას განიხილავენ, რო–გორც სასურსათო უზრუნველყოფის მთავარ გამოწვევას. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ გლობალურ დონეზე ეფექტიანი ვაჭრობისათვის საჭიროა შესაბამისი პოლიტიკის მექანიზ–მების შექმნა იმპორტირებულ და/ან ექსპორტირებულ პრო–დუქტებზე ფასების გაზრდის ან შემცირების თვალსაზრისით.

მკვლევარები სასურსათო ბაზრების განვითარების მიმართულებით რამდენიმე ფაქტორს გამოყოფენ, მათგან მნიშვნელოვანია მწარმოებლებისგან მაღალხარისხიანი პრო–დუქტის მიწოდების უზრუნველყოფა, სასურსათო ბაზრების გამართულად მუშაობა, გრძელვადიან პერიოდში მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის შენარჩუნება (International Panel of Experts on Sustainable Food Systems, 2015). სურსათზე ფასების პოლიტიკის გატარების აუცილებლობა უფრო მწვავედ დგას საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყ–ნებში, როგორც პროდუქტების იმპორტის, ასევე, ექსპორტის შემთხვევაში (Andersen, 2014:197).

სასურსათო ბაზრების ეფექტიანად ფუნქციონირებისა–თვის აუცილებელია შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის შენარჩუნებასაც გრძელვადიან პერიოდში.

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების მწვავე პრობლემა დგას, რადგან კვების პროდუქტების უმრავლე–სობაზე დაბალია თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები, ასევე, დაბალია მოსახლეობის შემოსავლების დონე, დარგში მწარმოებლურობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს. ადგილობრივ სასურ–სათო ბაზარზე ქართული პროდუქტები კონკურენციას ვერ უწევს იმპორტულ პროდუქტებს. მიუხედავად აღნიშნულისა, მაინც მოსალოდნელია ზოგიერთი ქვესექტორების განვითა–რება, მათგან აღსანიშნავია მცენარეული ზეთები და ცხიმები, ბოსტნეული, ხილი და კაკლოვანი ხილი და ცხოველური პროდუქტები (Ecorys, 2012:40).

საქართველოს გააჩნია აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ტრადიცია და შესაბამისი ბუნებრივ–რესურსული

პოტენციალი. სასურსათო ბაზრებზე არსებული გამოწვევების გამოვლენით შესაძლებელია რესურსული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებისა და ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების შემუშავება (Kharaishvili, 2018).

მაღალგანვითარებული სასურსათო ბაზრები ქვეყნისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის შესაძლებლობაა. სასურსათო ბაზრების განვითარებაზე განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურა და მათი თანაფარდობის ტენდენციები. აღნიშნულიდან გამომდინარე, უპირველესად შევისწავლეთ აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურა და გამოვავლინეთ ამ პროცესების პოზიტიური და ნეგატიური მხარეები.

2018 წელს საქართველოდან ექსპორტირებულია 959.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 23.2%-ით მეტია 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ხოლო 2017 წელს აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის ზრდის მაჩვენებელმა 2016 წელთან შედარებით 12.3% შეადგინა. ქვეყნების მიხედვით ექსპორტის ღირებულება ძირითადად შვიდ ქვეყანაზეა განაწილებული (იხ. დიაგრამა 1).

2018 წლის მონაცემებით აგროსასურსათო პროდუქციის ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი (243.6 მლნ დოლარი), აზერბაიჯანი (155.3 მლნ დოლარი), ევროკავშირი (148.0 მლნ დოლარი), უკრაინა (83.1 მლნ დოლარი), ყაზახეთი (67.9 მლნ დოლარი), სომხეთი (53.6 მლნ დოლარი) და ირანი (36.6 მლნ დოლარი). 2018 წელს ექსპორტის ღირებულება 2017 წელთან შედარებით გაიზარდა რუსეთში, აზერბაიჯანში, უკრაინაში, ყაზახეთსა და ირანში, უმნიშვნელოდ ევროკავშირში, ხოლო შემცირდა სომხეთში (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 1. ექსპორტის ღირებულების განაწილება ქვეყნების მიხედვით *2018 წელი*[1]



[1] დიაგრამა აგებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების მიხედვით

ევროკავშირის ქვეყნებში აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდამ 5.6% შეადგინა, რაც ძირითადად სპირტიანი სასმელების, ყურძნის ნატურალური ღვინოების, მინერალური და მტკნარი წყლებისა და მოხალული თხილის ექსპორტის ზრდამ გამოიწვია. სხვა ქვეყნებშიდაც ძირითადად დასახელებული პროდუქტების ექსპორტის ზრდა აღინიშნება (იხ. დიაგრამა 3).

2018 წელს ძირითადი საექსპორტო ბაზრების შვიდეული 2017 წელთან შედარებით არ შეცვლილა, ცვლილებები განიცადა ზრდის ტემპებმა. აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში 5.6%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად სპირტიანი სასმელების ექსპორტის ზრდამ განაპირობა (56.0%). ასევე, გაიზარდა ყურძნის ნატურალური ღვინოების, მინერალური და მტკნარი წყლების, მოხალული თხილის ექსპორტი (შესაბამისად: 24.4%-ით, 23.0%-ით და 48.0%-ით). 2017 წელს წინა წელთან შედარებით აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში 36.6%-ით შემცირდა, რაც ძირითადად თხილის ექსპორტის შემცირებით იყო გამოწვეული (62.9%-ით).

ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე შემდეგი დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა:

აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის მოცულობა (ღირებულებით მაჩვენებელში) ყველაზე მეტად გაზრდილია აზერბაიჯანში, კერძოდ, 119.8%-ით. ასევე, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ექსპორტი რუსეთში, ყაზახეთში, უკრაინაში, უზბეკეთში, ირანსა და ესპანეთში, შესაბამისად 14.4%-ით, 78.4%-ით, 24.7%-ით, 269.6%-ით, 36.8%-ით და 167.6%-ით. აზერბაიჯანში ექსპორტის ზრდა გამოწვეულია სიგარეტის (4-ჯერ), ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (55.2%-ით) და უალკოჰოლო გაზიანი სასმელების (89.9%-ით) ექსპორტის ზრდით. რუსეთში ექსპორტის ზრდა ძირითადად განპირობებულია ყურძნის ნატურალური ღვინოების (16.2%-ით), მინერალური და მტკნარი წყლების (10.5%-ით),

დიაგრამა 2. ექსპორტი ძირითადი ქვეყნების მიხედვით, მლნ აშშ დოლარი *2018 წელი*[2]



[2] დიაგრამა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

დიაგრამა 3. ექსპორტის ძირითადი ცვლილებები ქვეყნების მიხედვით *(2017-2018 წწ. მლნ აშშ დოლარი)*[3]



[3] დიაგრამა აგებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების მიხედვით

მანდარინის (45.1%-ით), ატმისა (89.1%-ით) და უალკოჰოლო გაზიანი სასმელების (43.0%-ით) გატანის ზრდით. ყაზახეთში ექსპორტის მატება განაპირობა სიგარეტის, მინერალური და მტკნარი წყლების და თამბაქოს ექსპორტის ზრდამ, რამაც შესაბამისად 220.5%, 58.4% და 60.6% შეადგინა. უკრაინაში გაიზარდა სპირტიანი სასმელების, ყურძნის ნატურალური ღვინოებისა და მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი; ასევე, გაზრდილია უზბეკეთში – სიგარეტისა და თამბაქოს, ირანში – ახალი, გაცივებული ან გაყინული ცხვრის ხორცის, ესპანეთში – სპირტიანი სასმელების ექსპორტი.

ექსპორტის ცვლილებების შესწავლამ, ასევე, გამოავლინა უარყოფითი ტენდენციები, კერძოდ ექსპორტის მოცულობა შემცირებულია ერაყში, იტალიაში, გერმანიაში, ანგოლაში, საუდის არაბეთში, სომხეთსა და ჩეხეთში, საშუალოდ 38%-ით. განსაკუთრებული ცვლილება გამოიწვია ერაყში ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტის შემცირებამ (44.9%-ით), ასევე, საუდის არაბეთში ცოცხალი ცხვრის (85.9%-ით), სომხეთში სპირტიანი სასმელების (88.3%-ით) ექსპორტის შემცირებამ.

საქართველოში სასურსათო ბაზრების განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროდუქტების დივერსიფიკაცია. დივერსიფიკაციის პრობლემების კვლევაზე მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ამ საკითხზე ამახვილებენ. (Kibrom, Sibhatu, Qaim, 2017) პროდუქტების სახეობების მიხედვით 2018 წელს საქართველოში ძირითად საექსპორტო პროდუქტებს წარმოადგენდა: ყურძნის ნატურალური ღვინოები (196.9 მლნ აშშ დოლარი), სიგარეტი (148.8 მლნ აშშ დოლარი), სპირტიანი სასმელები (129.1 მლნ აშშ დოლარი), მინერალური და მტკნარი წყლები (110.2 მლნ აშშ დოლარი) და თხილი (69.7 მლნ აშშ დოლარი), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სიგარეტის შემთხვევაში ძირითადად რეექსპორტი ხორციელდება (იხ. დიაგრამა 4).

თუ აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტში მხედველობაში არ მივიღებთ სიგარეტისა და თამბაქოს რეექსპორტს, 2018 წელს 2017 წელთან შედარებით აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 9.2%-ით არის გაზრდილი, რაც ყურძნის ნატურალური ღვინოების, მინერალური და მტკნარი წყლების, ცხვრის ხორცის, უალკოჰოლო გაზიანი სასმელების და მოხალული თხილის ექსპორტის ზრდით არის გამოწვეული.

ძირითადი პროდუქტების მიხედვით 2018 წელს წინა წელთან შედარებით ექსპორტის ცვლილებები მოცემულია დიაგრამაზე 5.

აგროსასურსათო პროდუქტების სახეობების მიხედვით ექსპორტის თვალსაზრისით 2018 წელს 2017 წელთან შედარებით შემდეგი დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა: ა/

დიაგრამა 4. ძირითადი პროდუქტების ექსპორტის ღირებულების წილი, 2018 წელი *(%)*[4]



[4] დიაგრამა აგებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების მიხედვით

დიაგრამა 5. ძირითადი პროდუქტების ექსპორტის ცვლილება 2017-2018 წლებში *მლნ აშშ დოლარი* [5]



[5] დიაგრამა აგებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების მიხედვით

ღვინის ექსპორტის მოცულობა 14.9%-ით არის გაზრდილი. ძირითადი საექსპორტო ბაზრებია რუსეთი, უკრაინა და ჩინეთი. ამ ქვეყნებზე მოდის ღვინის ექსპორტის 79.2%; ბ/ მინერალური და მტკნარი წყლების საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი, უკრაინა, ლიტვა, ყაზახეთი, ბელარუსი, სადაც ხორციელდება მინერალური და მტკარი წყლების ექსპორტის მთლიანი მოცულობის 93.8% და ექსპორტი გაზრდილია 15%-ით; გ/ ცხვრის ხორცის ძირითადი საექსპორტო ბაზარია ირანი, სადაც წინა წელთან შედარებით ამ პროდუქტის ექსპორტის მოცულობა 53.2%-ით გაიზარდა; დ/ უალკოჰოლო გაზიანი სასმელების ექსპორტის ზრდამ 53.7% შეადგინა. ძირითადი საექსპორტო ბაზრებია აზერბაიჯანი და რუსეთი, სადაც ხორციელდება ამ პროდუქტების ექსპორტის 72.1%; ე/ მოხალული თხილის ექსპორტი გაიზარდა 123.8%-ით, ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: სომხეთი, გერმანია, იტალია და ავსტრია. აღნიშნულ ქვეყნებში ხორციელდება მოხალული თხილის ექსპორტის 76.4%; ვ/ სიგარეტის ექსპორტის მოცულობა 4-ჯერ გაიზარდა, თუმცა, როგორც აღინიშნა, ძირითადად რეექსპორტის სახით. აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის უარყოფითი ტენდენციებიდან აღსანიშნავია თხილის, ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ხორბლის ფქვილის, შაქრის, თხილის ფქვილისა და ცოცხალი ცხვრის ექსპორტის მოცულობის კლება.

აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის მაჩვენებლების შედარებამ იმპორტის ანალოგიურ მონაცემებთან გვიჩვენა, რომ 2018 წელს საქართველოში იმპორტირებულია 1,353.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 15.3%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა სიგარეტის, თხილისა და კაკლის, ხორბლისა და სპირტიანი სასმელების იმპორტი, ხოლო მნიშვნელოვნად შემცირდა შაქრის, ღორის ხორცის, გაყინული თევზისა და რძის ფხვნილის იმპორტი (იხ. დიაგრამა 6).

აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტში ბოლო პერიოდში ზრდის ტენდენცია შეინიშნება, მაგრამ იმპორტის მოცულობა კვლავ მნიშვნელოვნად აღემატება ექსპორტს. ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენა განხორციელდა მატრიცის „გადაუდებლობა-ზეგავლენის ხარისხის“ საშუალებით (იხ. დიაგრამა 7).

დიაგრამა 6. აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი 2017-2018 წლებში *მლნ აშშ დოლარი*



მატრიცის ანალიზით გამოვლინდა, რომ ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორებია: (1) წარმოების მცირე მასშტაბები; (2) მწარმოებლურობის დაბალი დონე და მოსავლის მაღალი დანაკარგები; (3) პროდუქტის ხარისხი; (4) საექსპორტო სასურსათო ბაზრების სტანდარტების შესახებ საკანონმდებლო ვაკუუმი ან ამ სტანდარტებზე ინფორმაციის ნაკლებობა; (5) თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი დონე; (6) საექსპორტო ბაზრების შესახებ სპეციალისტების დეფიციტი და შესაბამისი უნარ-ჩვევების არარსებობა; (7) მიწოდების ჯაჭვში არსებული ნაკლოვანებები და სხვა.

„პრიორიტეტების სქემით“ დადგინდა აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები (იხ. დიაგრამა 8).

სასურსათო ბაზრების განვითარებისათვის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით უნდა განხორციელდეს:

- სასურსათო ბაზრების ადგილმდებარეობაზე ხელმისაწვდომობის პოლიტიკის განსაზღვრა;
- ბაზრების სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად დაფინანსების პოლიტიკის შემუშავება;
- პრიორიტეტული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის სტიმულირების პროგრამების შემუშავება;
- სასურსათო ბაზრების შესახებ საინფორმაციო სისტემის შექმნა;
- ევროპისა და სხვა სასურსათო ბაზრის სტანდარტებთან და საკანონმდებლო სივრცესთან ჰარმონიზაცია;
- ბაზრების დიზაინის განვითარების მექანიზმების ამუშავება და სხვ.

დიაგრამა 7. პრიორიტეტულობის მატრიცა „გადაუდებლობა–ზეგავლენის ხარისხი“



ზემოთ დასახელებული მიმართულებების დამატებითი შეფასების მიზნით ჩავატარეთ საქართველოსა და ესპანეთის (ბარსელონას) სასურსათო ბაზრების შედარებითი ანალიზი. გავითვალისწინეთ, რომ ყველა ქვეყანას/ეკონომიკას მასზე მორგებული ეკონომიკური მოდელი სჭირდება და გლობალური თეორიების გამოყენება ყველა ქვეყანასა თუ სიტუაციაზე, არასწორია (Rodrik, Conlan, 2015:113). ასევე, ვივარაუდეთ, რომ საქართველოსთვის ბარსელონას სასურსათო ბაზრის მოდელის გათვალისწინება ეფექტიანი იქნება შემდეგი ეკონომიკური, პოლიტიკური, ასევე, ეთნიკური, კულტურული, ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებით:

ესპანეთის ეკონომიკა დღეს განიხილება როგორც ეკონომიკური ზრდის წარმატებული მოდელი; ესპანეთი მთლიანი სამამულო პროდუქტის მაჩვენებლით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის მეხუთე ადგილზეა, მსოფლიო რეიტინგში კი მე-12 პოზიციას იკავებს და მაღალგანვითარებული სასურსათო ბაზრები გააჩნია;

დიაგრამა 8. აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები

ესპანეთსა და საქართველოში მიმდინარეობს ტრადიციული დარგების მოდერნიზაცია და ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია აგრობიზნესის განვითარება;

ორივე ქვეყანას აქვს მსგავსი ბუნებრივ-კლიმატური პირობები და სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების დიდი პოტენციალი (ესპანეთი შვეიცარიის შემდეგ ყველაზე მაღალმთიანი ქვეყანაა ევროპაში – ტერიტორიის 90 % მთებისა და მთაგრეხილების წილად მოდის, საქართველოში მთებსა და მთისწინებს 87% უჭირავს);

ესპანეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის დაახლოებით 2.5% სოფლის მეურნეობის სექტორშია დასაქმებული და ძირითადად განვითარებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მსგავსი დარგები: მეციტრუსეობა (ციტრუსების ექსპორტით ესპანეთს წამყვანი პოზიციები უჭირავს მსოფლიოში); მევენახეობა და ღვინის წარმოება, მებოსტნეობა და სხვ.;

საქართველოსა და ესპანეთს შორის მიღწეულია შეთანხმება ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების შესახებ;

საქართველოს კლიმატური პირობებით შედარებითი უპირატესობა აქვს აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებაში, ხოლო თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებებით (განსაკუთრებით ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული DCFTA ხელშეკრულებით) მინიჭებული აქვს წვდომა მსოფლიო ბაზრებზე;

ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულებისა და გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით საქართველო გრძელვადიან პერიოდში უპირატესად ორიენტირენული იქნება ევროპულ ბაზრებზე. ევროპული ქვეყნებიდან საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ურთიერთობების პოტენციალი ექნება ესპანეთთან, რადგან საუკუნეებია კაცობრიობის ისტორიაში განიხილება აზრი პირენეის ნახევარკუნძულის მკვიდრთა და ქართველთა ლინგვისტურ ურთიერთმიმართებაზე; მსგავსია ბასკებისა და ქართველების ყოფა-ცხოვრებისა და საოჯახო დანიშნულებით გამოყენებული მრავალი საგანი (აკვანი, შუაცეცხლი, სუფრის რიტუალი, ურემი, სამთო მარხილი, სიმღერა, ცეკვა, განსაკუთრებით ხორუმი და სხვ.) და სხვ.

მოსახლეობისათვის ადგილმდებარეობის მიხედვით სასურსათო ბაზრის ხელმისაწვდომობა მკვლევართა მიერ პოლიტიკის მთავარ მიმართულებად არის მიჩნეული. ამ თვალსაზრისით ცნობილი მოდელია „ბაზარი ქალაქში“, რომელიც ეფექტიანად ფუნქციონირებს ბარსელონაში (ესპანეთი). ამ ქალაქში მდებარეობს 43 მუდმივი ადგილობრივი ბაზარი და არც ერთი მათგანი არ არის მოსახლეობისათვის ათი წუთის სავალზე მეტად განთავსებული (იხ. რუკა 1).

ესპანეთის სასურსათო ბაზარი ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ახალგაზრდაა, თუმცა, მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილებაზეა დაფუძნებული. სურსათის, როგორც საბითუმო, ასევე, საცალო ბაზრები შექმნილია თანამედრო-

ვე ტექნოლოგიების გამოყენებით და გათვალისწინებულია ეკონომიკურად და სოციალურად ხელსაყრელ ტერიტორიაზე განვითარებისა და მოდერნიზაციის პერსპექტიული შესაძლებლობები.

საქართველოში 2017 წლის მონაცემებით ბაზრებისა და ბაზრობების რაოდენობამ 207 ერთეული შეადგინა, რომელთა 30% თბილისშია განთავსებული, იმერეთში ეს მაჩვენებელი შეადგენს 28%-ს, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში 12,1%-ს, ქვემო ქართლში 7,7%-ს, დანარჩენ რეგიონებში კი 1,4%-დან (გურია) 4,8%-მდე (აჭარა) მერყეობს. ფინანსური მაჩვენებლების, კერძოდ შემოსავლების მიხედვით, ანალიზმა გამოავლინა, რომ ეს ადგილები სხვაგვარად არის განაწილებული: თბილისის წილად მოდის ბაზრობებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლების 69,3%, იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს უჭირავს 10,9%, ქვემო ქართლს – 7,8%, აჭარას – 6,9%, შიდა ქართლს – 1,5%, კახეთს – 1%.

მოქმედი ბაზრობების 36,7% გადახურულია, 31,9% ღია ტიპისაა, 31,4% ნახევრადგადახურულია. ბაზრობებზე ხორციელდება როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო საქონლით ვაჭრობა. ბაზრობების 31,4% ვაჭრობს მხოლოდ არასასურსათო საქონლით, მხოლოდ ერთ-ერთ ბაზრობაზე მიმდინარეობს სასურსათო საქონლით ვაჭრობა; ოთხი ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობა მიმდინარეობს ავტომობილებითაც. ბაზრობების 95.9% არის კერძო, 4.9% კი საჯაროა. საქართველოში სასურსათო ბაზრების ადგილმდებარეობაზე ხელმისაწვდომობის კვლევამ გვიჩვენა, რომ სასურსათო ბაზრები თბილისში არათანაბარზომიერად არის განაწილებული, რეგიონებში უთანაბრო განაწილება კიდევ უფრო გამოკვეთილია, შესაბამისად აუცილებელია სასურსათო ბაზრებზე ხელმისაწვდომობის პოლიტიკის შემუშავება.

მცირე ფერმერებისათვის სასურსათო ბაზრებზე მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია საგზაო სისიტემებისა და შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებების განვითარება, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგონებში.

რუკა 1. სასურსათო ბაზრების ადგილმდებარეობა ბარსელონაში „ბაზარი ქალაქში“ მოდელის მიხედვით



როგორც აღინიშნა, ბაზრების სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად აუცილებელია დაფინანსების პოლიტიკის შემუშავება.

ფინანსური სტიმულირების მექანიზმებმა უნდა მოაწესრიგოს ექსპორტთან დაკავშირებული ფინანსური სირთულეები. ამ მხრივ, უპირველესად საჭიროა სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილი ბიუჯეტის ზრდა. ასევე, მნიშვნელოვანია ექსპორტის დაკრედიტება ან/და ექსპორტთან დაკავშირებული დაზღვევის მექანიზმების გამოყენება. ექსპორტის წახალისების ერთ-ერთ მექანიზმად შეიძლება განვიხილოთ სუბსიდირების პოლიტიკაც, თუმცა, მევენახეობისა და მეციტრუსეობის სექტორებში განხორციელებულმა სუბსიდირების პროგრამების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ფინანსური სტიმულირების აღნიშნული პოლიტიკა არ არის ეფექტიანი ექსპორტის ზრდის მისაღწევად (ხარაიშვილი, 2017:133). ისიც გასათვალისწინებელია, რომ ექსპორტის სტიმულირების პოლიტიკა ინსტრუმენტების კომპლექსის და არა ცალკეული მექანიზმის გამოყენებით უნდა განხორციელდეს (Rodrik, Conlan, 2015).

სასურსათო ბაზრების განვითარების მასტიმულირებელ პოლიტიკაში მნიშვნელოვანია ბაზრების შესახებ საინფორმაციო ვაკუუმის აღმოფხვრა. ესპანეთში, როგორც ევროპის მრავალ ქვეყანაში, მრავალმხრივი საინფორმაციო სისტემების საშუალებით ხორციელდება სასურსათო ბაზრების ეფექტიანი მართვა. საქართველოში ექსპორტის შესახებ ინფორმაციას ძირითადად მეწარმეობის განვითარების სააგენტოს პორტალი „ივაჭრე საქართველოში“ იძლევა, თუმცა, პორტალი ინფორმაციას აწვდის მხოლოდ უცხოელ პარტნიორებს. სასიცოცხლოდ აუცილებელია უცხოური ბაზრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივი მწარმოებლებისთვისაც.

დღეს ადგილობრივ ექსპორტიორებს შეზღუდული წვდომა აქვთ ინფორმაციებზე სტანდარტების, დაფინანსების წყაროებისა და მექანიზმების, სავაჭრო მისიებსა და გამოფენების, მარეგულირებელი წესებისა და სხვათა შესახებ. სრულყოფილი ინფორმაციის პაკეტების შექმნა და მიწოდება, ასევე, მიწოდების სიხშირის გაზრდა ხელს შეუწყობს ექსპორტის დივერსიფიკაციას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ევროპისა და სხვა ქვეყნების სტანდარტებთან და საკანონმდებლო სივრცესთან ჰარმონიზაცია და ბაზრის დიზაინის ცვლილება, რისტისაც გამოსაყენებელია უცხოეთის, განსაკუთრებით ბარსელონას სასურსათო ბაზრის გამოცდილება.

ექსპორტის მასტიმულირებელი პოლიტიკის გატარება გამოიწვევს სასურსათო ბაზრების დივერსიფიკაციას, განსაკუთრებით ევროპის ბაზრებზე. ზოგადად ევროპის სასურსათო ბაზარი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, ამ ბაზრებზე ქართული აგროსასურსათო პროდუქტებისათვის ასეთივე ტენდენცია არ აღინიშნება. სხვადასხვა ქვეყნის სასურსათო

ბაზარზე ქართული პროდუქტების წილებისა და ექსპორტის ზრდის ტემპების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ ცვლადებს შორის კორელაცია დადებითია, თუმცა, არასაკმარისი ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედებისათვის. ექსპორტის მასტიმულირებელმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის დივერსიფიკაცია ტრადიციულ, მაგრამ მზარდ სასურსათო ბაზრებზე, მეორე მხრივ, საექსპორტო ბაზრების გეოგრაფიული არეალის გაფართოება. დასახელებული ორი მიმართულების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია ექსპორტის სტიმულირების ეფექტიანი მექანიზმების გამოყენება.

დასკვნები და რეკომენდაციები

სურსათზე მოთხოვნა ზრდადია, ასევე, საერთაშორისო და ადგილობრივი სასურსათო ბაზრები ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა, ქართული აგროსასურსათო პროდუქტებისათვის სასურსათო ბაზრებზე წვდომა შეზღუდულია სოფლის მეურნეობაში დაბალი მწარმოებლურობის, პროდუქტის დაბალი კონკურენტუნარიანობის, ბაზარზე შესვლის სტანდარტებისა და ტექნოლოგიების დაუკმაყოფილებლობისა და სხვა ფაქტორების გამო. შესაბამისად, საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევად სასურსათო ბაზრების განვითარება რჩება. ამ ბაზრების განვითარება უზრუნველყოფს საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლების გაუმჯობესებას. ამასთან, სასურსათო ბაზრები ქვეყნისა და ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილია, შესაბამისად აუცილებელია მისი მხარდამჭერი პოლიტიკის შემუშავება ეროვნულ, სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეზე.

ქართული აგროსასურსათო პროდუქტების იმპორტის მოცულობა საშუალოდ 3–ჯერ აღემატება ექსპორტს. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, იმპორტის ჩანაცვლების, მეორე მხრივ, ექსპორტის სტიმულირების პოლიტიკის გატარება.

„გადაუდებლობა ზეგავლენის ხარისხის“ მატრიცით დადგინდა, რომ ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორებია: წარმოების მცირე მასშტაბები; მწარმოებლურობის დაბალი დონე და მოსავლის მაღალი დანაკარგები; პროდუქტის ხარისხი; საექსპორტო სასურსათო ბაზრების სტანდარტების შესახებ საკანონმდებლო ვაკუუმი ან ამ სტანდარტებზე ინფორმაციის ნაკლებობა; თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი დონე; საექსპორტო ბაზრების შესახებ სპეციალისტების დეფიციტი და შესაბამისი უნარ–ჩვევების არარსებობა; მიწოდების ჯაჭვში არსებული ნაკლოვანებები და სხვა.

„პრიორიტეტების სქემით“ გამოვლინდა, რომ მასტიმულირებელი ეკნომიკური პოლიტიკა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით უნდა წარიმართოს: სასურსათო ბაზრების ადგილმდებარეობაზე ხელმისაწვდომობის პოლიტიკის უზრუნველყოფა; ბაზრების სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად დაფინანსების პოლიტიკის შემუშავება; პრიორიტეტული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის სტიმულირების პროგრამების შემუშავება; სასურსათო ბაზრების შესახებ საინფორმაციო სისტემის შექმნა; ევროპისა და სხვა სასურსათო ბაზრის სტანდარტებთან და საკანონმდებლო სივრცესთან ჰარმონიზაცია; ბაზრების დიზაინის განვითარების მექანიზმების შემუშავება და სხვ.

სხვადასხვა ქვეყნის სასურსათო ბაზარზე ქართული პროდუქტების წილებისა და ექსპორტის ზრდის ტემპების შესწავლით დადგინდა, რომ ამ ცვლადებს შორის კორელაცია დადებითია, თუმცა, არასაკმარისი ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედებისათვის. ექსპორტის დივერსიფიკაცია და ზრდის ტემპების გაზრდა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იქნება.

ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი სასურსათო ბაზრების, როგორც საზოგადოების აქტივების, დაცვა. მოდელის „ბაზარი ქალაქში“ გათვალისწინება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბაზრების შენარჩუნებასა და გაფართოებას. ამასთან, ადგილობრივი ბაზრების მხარდამჭერი პოლიტიკა უნდა იყოს კომპლექსური და ითვალისწინებდეს სასურსათო ბაზრების ადგილმდებარეობის, დაფინანსების მექანიზმების, დიზაინის, მართვისა და სხვა საკითხების შეფასებას. სასურველია ამ თვალსაზრისით ადგილობრივი, რეგიონალური და ეროვნული მთავრობების მონაწილეობით პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kharaishvili E., (2017). Wine Market and Competitive Models oF the Viticulture-Winemaking Industry in Georgia [Ghvinis bazari da mevenakheoba-maghvineobis konkurentuli modelebi Sakartveloshi]. Tbilisi, pp.133 (In Georgian).
2. Andersen P. (2014). Food price Policy in an Era of Market Instability (A Political Economy Analisis).
3. Ahearn, M., Sterns J. (2013). “Direct-to-consumer sales of farm products: producers and supply chains in the southeast.” Journal of Agricultural and Applied Economics 45(3).
4. Belloc, M. Di Maio, M. (2011). Survey of the Literature on the successful strategies and practices for export promotion by developing countries.
5. Daniel K., Nestico S. (2015). Policies that Support Local Fresh Food Markets, International Examples.
6. Dybowski G., Bugala A. (2016). GLOBAL FOOD MARKET-NEW FACTORS INFLUENCING DEVELOPMENT. AGROFOR International Journal, Vol. 1, Issue No. 2.

7. Ecorys, (2012),Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova.
8. Ekanem E., Mafuyai M., Clardy A. (2016). Economic Importance of Local Food Markets: Evidence from the Literature.
9. International Panel of Experts on Sustainable Food Systems (2015). The New Science of Sustainable Food Systems – Overcoming Barriers to Food Sustems Reform.
10. Kharaishvili E., (2017), DIRECTIONS FOR IMPROVING THE SUPPLY CHAIN IN THE AGRO-FOOD SECTOR OF GEORGIA. In Foresight management: formation and transformation adaptive business organizations. International collective monograph. Volume 2. Section 6.: 6.2. p. 268.
11. Kharaishvili E., (2018), Diversification of Agribusiness and Rural Development Models in Georgia. Kharaishvili, E., Gechbaia B., Mamuladze G. (2018), VEGETABLE MARKET: COMPETITIVE ADVANTAGES OF GEORGIAN PRODUCT AND COMPETITION CHALLENGES, Innovative Marketing, Volume 14, Issue 3.
12. Kharaishvili E., Erkomaishvili G., Chavleishvili M., (2019), Trends of Agro-Food Production and Export Stimulating Economic Policy in Georgia, International Journal of Economics and Management Engineering, Vol:13, No:1.
13. Kharaishvili E., Lazariashvili T., Natsvlishvili I., (2019), GLOBAL EXPERIENCE OF BIO PRODUCT MARKET AND ITS CHALLENGES IN GEORGIA IN THE CONTEXT OF SUSTAINABLE WELL-BEING.
14. Kibrom T., Sibhatu, Matin Qaim (2017). Rural food security, subsistence agriculture and seasonality.
15. Martinez S. , Hand M., Da Pra M., Pollack S., Ralston K., Smith T., Vogel S., Clark S., Lohr L., Low S. , and Newman C. (2010). Local Food Systems Concepts, Impacts, and Issues. A Report from the Economic Research Service.
16. Michelle A. Mendez, Barry M. Popkin (2004). The Electronic Journal of Agricultural and Development Economics, 2004, vol. 1, issue 2.
17. Nsiah C., Wallace B., (2017).Trends in Agricultural Production Efficiency and Its Implications for Food Security in Sub-Saharan African Countries.
18. Rodrik D., Conlan J. (2015), Economics Rules: The Rights and Wrongs of The Dismal Science.
19. FAO (2017). The future of food and agriculture – Trends and challenges.
20. Top 10 Food Markets in Europe [Evropis 10 sauketeso sasursato bazari], (In Georgian). https://www.theguardian.com/travel/2014/dec/01/top-10-food-markets-europe-berlin-vienna-london
21. Top 10 Food Markets in World [Msoflios 10 sauketeso sasursato bazari], (In Georgian). https://foodtank.com/news/2014/11/ten-fantastic-food-markets/
22. National Statistics Office of Georgia, Export [Saqartvelos statistikis erovnuli samsaxuri, exporti 2000-2016], (In Georgian). http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo
23. Entrepreneurship Development Agency of Georgia: Mission and Vission [Sakartvelos mewarmeobis ganvitarebis saagento, misia da khedvebi], (In Georgian).http://enterprisegeorgia.gov.ge/ge/aboutus/Mission--Vission
24. We and the Basques [Chven da Baskebi], (In Georgian).http://www.georoyal.ge/?MTID=6&TID=54&id=138

JEL Classification: O20, Q10, Q18 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.004

MARKETS OF GEORGIAN AGRO-FOOD PRODUCTS AND EXPORT STIMULATING ECONOMIC POLICY

ETERI KHARAISHVILI

Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
Vice-Prezident of Academy of Economic
Sciencies of Georgia, Georgia
eter.kharaishvili@tsu.ge

IA NATSVLISHVILI

Candidate of Economic Sciences, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
ia.natsvlishvili@tsu.ge

KEYWORDS: FOOD MARKET, AGRO-FOOD PRODUCTS, EXPORT-IMPORT OF AGRO-FOOD PRODUCTS, EXPORT STIMULATING POLICY.

For citation: Kharaishvili, E., Natsvlishvili, I. (2019). Markets of Georgian Agro-Food Products and Export Stimulating Economic Policy, *Globalization And Business, №8*, pp. 44-53. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.004

SUMMARY

The article substantiates the importance of the development of food markets in the solution of food security problem. It is argued that the tendency of demand for food has an increasing trend and the development of food markets still remains one of the most important challenges of contemporary world.

The study analyzes the markets of Georgian agro-food products and studies the modern challenges in these markets. Comparative analysis of Georgian and Spanish food markets is conducted.

The article estimates the positive and negative trends of export of Georgian agro-food products as well as the possibilities of diversification of products in the food markets.

According to "The Impact-Immediacy" matrix the hindering factors of Georgian agro products export are identified. Using the "Priority Scheme" the priorities of economic policy stimulating the export of agro-food products are revealed.

In terms of geographical orientation of the export the possibilities of diversification of food markets are discussed, especially in European markets. The conclusion is made that, in general, European food market is characterized by the growing tendency. However, in these markets there is no similar tendency for Georgian agro-food products.

According to the study of the share of Georgian products and export growth rates in different countries the positive correlation between these variables is determined. But this circumstance is not considered to be sufficient for the positive impact on the economic growth.

The conclusion is made that using effective mechanisms of export stimulation allows the diversification of export of Georgian agro products on the traditional but growing food markets on the one hand and on the other hand the expansion of geographical area of export markets.